სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY
211328703

დამტკიცებულია

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს 2017 წლის 1 ნოემბრის #24/1 დადგენილებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესიული საბჭოს მიერ ელექტრონული კომუნიკაციის ფორმით საკითხის განხილვის წესი:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესიული საბჭო უფლებამოსილია იმ შემთხვევებში, როდესაც სასწრაფოდ განსახილველი საკითხი დარეგისტრირდება ან საკითხების დაჩქარებული წესით განხილვის მიზნით საჭიროა რიგგარეშე სხდომის მოწვევის, გადაწყვეტილება მიიღოს ასინქრონული ელექტრონული კომუნიკაციის ფორმით.

2. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია გულდასმით გაეცნოს მისთვის გაგზავნილ განსახილველ საკითხს და განსაზღვრულ ვადაში გამოხატოს თავისი აზრი და მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით.

4. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდა საკითხის გადაწყვეტა ელექტრონული კომუნიკაციის ფორმით, მაშინ მოიწვევა პროფესიული საბჭოს სხდომა დადგენილი წესით.

5. გადაწყვეტილებას ელექტრონული ფორმით საკითხის განხილვის შესახებ იღებს პროფესიული საბჭოს თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარეები.

6. ელექტრონული ფორმით საკითხის განხილვასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი.

7. წინამდებარე წესით მიღებული გადაწყვეტილება პროფესიული საბჭოს სხდომის ოქმის ტოლფასია.